განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართული მევენახეობა-მეღვინეობა

ბაკალავრიატი

შეფასების თარიღ(ებ)ი
22 იანვარი 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
27 თებერვალი 2019

თბილისი 2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული მევენახეობა–მეღვინეობის
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრარული მეცნიერებების ბაკალავრი 01
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა კევლიშვილი. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მურად გარუჩავა თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დეკანოიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2018 წლის 26 იანვარს ქართული მევენახეობა - მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია (გადაწყვეტილება N17, 26.01.2018).

პროგრამა ახალია და აკრედიტაციის ხანმოკლე ვადის გამო აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ჯერ არ განხორციელებულა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში განხორციელდა 2019 წლის 22 იანვარს. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პედაგოგებს, დამსაქმებლებს ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, ვიზიტის დროს დავათვალიერეთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განხილულ იქნა პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები. ჩატარდა ინტერვიუები, რომლის შედეგადაც ნათელი გახდა ყველა ის საკითხი, რომელიც ექსპეტრებისთვის ბუნდოვანი იყო. აღინიშნა საუკეთესო პრაქტიკა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ „ქართული მევენახეობა-მეღვინეობა“ მიიღო პირობითი აკრედიტაცია ერთი წლის ვადით. აკრედიტაციის შემდგომ განვითარდა და დაიხვეწა. მთლიანობაში იმსახურებს მოწონებას. იგი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოიკვეთა პროგრამის დადებითი მხარეები, პროგრამას უარყოფითი მხარე პრაქტიკულად არ აქვს, შედეგზე სრულად გადის და იმსახურებს დადებით შეფასებას.

- **რეკომენდაციები**

არ არის

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია სასწავლო კურსებში ანალიზური ქიმია, აგროქიმია და ნიადაგთმცოდნეობა შეტანილ იქნეს ლაბორატორიული სამუშაოები და შესაბამისად მოხდეს მისი შეფასება.

სასურველია მოძველებული ლიტერატურა შეიცვალოს ახალი ლიტერატურით, ან შეიქმნას რიდერები, ან ითარგმნოს უცხოენოვანი ლიტერატურა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

ქართული მევენახეობა-მერვინეობის პროგრამის სტუდენტებისათვის პრაქტიკისა და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის საუკეთესო მატერიალურ ტექნიკური ბაზა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ქართული მევენახეობა - მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მინიჭებული ჰქონდა პირობითად 1 წლის ვადით (გადაწყვეტილება N17, 26.01.2018). აკრედიტაციის ექსპერტთა რჩევების გათვალისწინებით, პროგრამამ განიცადა ძირეული ცვლილება.

1. **საფაკულტეტო სავალდებულო (საბაზისო) მოდულში:**
   ა) აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობა (5 კრედიტი) გაიყო ორ საგნად: ნიადაგმცოდნეობა (4 კრედიტი) და აგროქიმიის საფუძვლები (4 კრედიტი), აღნიშნული საგნების სილაბუსები შეივსო ახალი ქართულენოვანი ლიტერატურით;
   ბ) საბაზისო სასწავლო კურსების მოდულს დაემატა ფიზიკა (5 კრედიტი);
   გ) მენეჯმენტის საფუძვლები და მარკეტინგის საფუძვლები გადავიდა სპეციალობის არჩევითი დისციპლინების მოდულში.

2. **სპეციალობის სავალდებულო დისციპლინების მოდულში**
   ა)მეღვინეობის პროდუქციის ტექნო-ქიმიური და მოკრობიოლოგიური კონტროლი გადანაცვლდა მე-6 სემესტრში;
   ბ) მეორე უცხო ენა ფრანგული ენა -1, ფრანგული ენა-2, პროფესიული ფრანგული-1 და პროფესიული ფრანგული-2 გადავიდა სპეციალობის არჩევითი დისციპლინების მოდულში. არჩევითი მოდულიდან სავალდებულოში გადმოვიდა სასწავლო კურსები: მეღვინეობის საწარმოთა ინჟინერია, ვაზისა და ღვინის სამართალი და სურსათის უვნებლობა, შესაბამისი კრედიტებით.

3. **სპეციალობის არჩევითი დისციპლინების რაოდენობა** 15-იდან, 18-სასწავლო კურსამდე გაიზარდა; სტუდენტებს ამ მოდულიდან საგნის არჩევის შესაძლებლობა მიეცემათ მე-2 სემესტრიდან, ნაცვლად მე-3 სემესტრისა. ამის გამო ნაწილობრივ შეიცვალა სემესტრების მიხედვით შესათავაზებელი დისციპლინების რიგითობა.

4. ექსპერტთა რჩევის შესაბამისად, სასწავლო კურსების მნიშვნელობის, შესასწავლი მასალის მოცულობისა და სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობისა და სირთულის გათვალისწინებით გაიზარდა შემდეგი დისციპლინების კრედიტების რაოდენობა: ზოგადი და არაორგანული ქიმია (5/6); ორგანული ქიმია (4/6); ამპელოგრაფია (5/6); ვაზის ინტეგრირებული დაცვა (4/5); პრაქტიკა ვაზის სარგავი მასალების წარმოებაში (5/6); სურსათის უვნებლობა (5/4).

5. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ესპანეთში მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულების მქონე ორი წამყვანი უნივერსიტეტს (ლა რიოჰას უნივერსიტეტი და ბურგოს უნივერსიტეტი) შორის თანამშრომლობის მემორანდუმებისა და მოლაპარაკებების საფუძველზე საუნივერსიტეტო არჩევითი დისციპლინების მოდულს დაემატა ესპანური ენა-1 და ესპანური ენა-2, რათა დაუბრკოლებლად განხორციელდეს პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან სტუდენტთა გაცვლა. პარტნიორები საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა გაცვლის ერთ-ერთ პირობას ესპანური ენის A2 დონეზე ცოდნას ითხოვს.

6. სახელწოდება შეეცვალა შემდეგ სასწავლო კურსებს:
„ვაზის ინტეგრირებული დაცვა“ - შეიცვალა „ვენახის პათოგენები და ვაზის ინტეგრირებული დაცვა“;

„მსოფლიოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორია“ - შეიცვალა „მსოფლიოს მევენახეობა-მეღვინეობა“;
„მეღვინეობის პროდუქციის ტექნო-ქიმიური, მიკრობიოლოგიური კონტროლი და ფალსიფიკაციის გამოვლენის საშუალებები“ - შეიცვალა „ მეღვინეობის პროდუქციის ტექნო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური კონტროლი“;
„მეღვინეობის საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობა“ - შეიცვალა „მეღვინეობის საწარმოთა ინჟინერია“;

„საწარმოო პრაქტიკა აგროტექნოლოგიაში - შეიცვალა „საწარმოო პრაქტიკა მევენახეობის აგროტექნოლოგიაში“;
„ენოლოგიის საწარმოო პრაქტიკა (პირველადი მეღვინეობა) - შეიცვალა „მეღვინეობის საწარმოო პრაქტიკა- 1“;
„ენოლოგიის საწამოო პრაქტიკა (მეორადი მეღვინეობა) - შეიცვალა „ მეღვინეობის საწარმოო პრაქტიკა -2“;
„ვაზის, ყურძნისა და მისი გადამუშავების პროდუქტთა ნარჩენების გამოყენება სახალხო მეურნეობაში“ - შეიცვალა „ვაზისა და ყურძნის სამრეწველო ნარჩენების გამოყენების თანამედროვე მიმართულებები“;
„ღვინის საწარმოთა დაპროექტების საფუძვლები - შეიცვალა „ ღვინის საწარმოთა დაგეგმარება“;

7. სასწავლო კურსის „ენოლოგია-1 (ღვინის კლასიკური ტექნოლოგია)“ სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში შეიცვალა წყაროს დასახელება „მეღვინეობა ფორმულებით და ციფრებით“ - „ღვინის კუპაჟების გაანგარიშების თეორია და პრაქტიკა“;
სასწავლო კურსის „ღვინის საწარმოთა ინჟინერია“ სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში დაემატა ახალი სახელმძღვანელო - თ. მეგრელიძე, ზ. ჯაფარიძე, გ. გოლეთიანი, გ. გუგულაშვილი, გ. ბერუაშვილი - საკვები პროდუქტების წარმოების პროცესები და აპარატები - „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2017 წ.,;
ახალი სახელმძღვანელოები დაემატა შემდეგი დისციპლინების სილაბუსებს: „ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები“; „ზოგადი და არაორგანული ქიმია“; „აგროქიმია“; „მევენახეობა-1(ამპელოგრაფია)“.
ზემოთ ჩამოთვლილი შინაარსობრივი და ტექნიკური ცვლილებების შესაბამისად, შეიცვალა მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და ზოგიერთი მოდულის კრედიტების ჯამი.:
სახელდობრ: სავალდებულო საფაკულტეტო დისციპლინების კრედიტების ჯამი ნაცვლად 43 -ისა, გახდა 45; სპეციალობის სავალდებულო დისციპლინების კრედიტების ჯამი ნაცვლად 115-ისა, გახდა 113; სპეციალობის არჩევითი დისციპლინების ჯამი ნაცვლად 25-ისა, გახდა 30. სულ - სპეციალობის დისციპლინების კრედიტების ჯამი გახდა 188. აქედან 158 სავალდებულო და 30 არჩევითი. პრაქტიკების მოცულობა გაიზარდა 24 კრედიტამდე, ნაცვლად 23-ისა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,ქართული მევენახეობა-მეღვინეობა“ მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებს, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. პროგრამის მიზანია: სტუდენტს გააცნოს და შეასწავლოს ვაზის კულტურის და ღვინის დაყენების ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები და თანამედროვე სისტემები, ქართული და უცხოური მევენახეობა-მეღვინეობის ყველა ეტაპი, მაღალხარისხიანი სუფრის ღვინოების დამზადების საერთო ოპერაციები და სხვადასხვა ტიპის ღვინოების დამზადების თანამედროვე სქემები; ყურძნის გადამუშავების, დაღვინების, ახალგაზრდა ღვინის ფორმირების, დამუშავების დროს მიმდინარე ფიზიკო-ქიმიური, მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური გარდაქმნები და გამოყენებული ტექნოლოგიური მეთოდები; ქართული ტრადიციული ქვევრის ღვინის წარმოების ტექნოლოგიის, ქვევრის დამზადების ტრადიციული და თანამედროვე, ინოვაციური მექანიზებული მეთოდები. ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულ თანხვედრაშია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია - II -ის მოწოდებას, ჩართულიყო და თავისი წვლილი შეეტანა ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის აღორძინებაში. გაითვალისწინა რა უნივერსიტეტის დეკლარირებული პრიორიტეტები, ღირებულებები, ხედვა, მისი მზარდი რესურსები, როგორც გეოგრაფიული, ისე ინფრასტრუქტურული და ინტელექტუალური თვალსაზრისით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები უნივერსიტეტის მისი და სტრატეგიული გეგმა; ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები; დასაქმების ბაზრის კვლევა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს უნარი: პრაქტიკულად განახორციელოს ახალი სავენახე ფართობების და ნიადაგების, ე.წ. „ტერუარების“ შერჩევა, ვაზის ჯიშთა სელექციის, სორტიმენტის სრულყოფის, დიზაინის, აგროტექნოლოგიური რუკების მომზადების, დაავადებათა კონტროლის ოპერაციებ ჩატარების შესახე. აგრეთვე კურსდამთავრებულს აქვს: ვაზისა და გარემოს შესაბამისი ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების და გამოსწორების სტრატეგიის შემუშავების უნარი: ვენახის მოვლისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი; ირიგაციის ჩატარებისა და მექანიზაციის რაციონალური გამოყენების უნარი; რთველის დაგეგმვისა და ჩატარების, მაღალხარისხიანი სუფრის ღვინოების დამზადების საერთო ოპერაციების და სხვადასხვა ტიპის ღვინოების დამზადების თანამედროვე სქემების განხორციელების, ყურძნის გადამუშავების, დაღვინების, ახალგაზრდა ღვინის ფორმირების, დამუშავების დროს მიმდინარე ფიზიკო-ქიმიური და ბიოქიმიური გარდაქმნების მართვის უნარი; ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების წარმოების პროცესის დაგეგმვის,განხორციელების და რისკების შეფასების უნარი; სადეგუსტაციო შეფასების მონაცემთა გამოყენების უნარი ღვინომასალების ხარისხის პროგნოზირებისა და დამუშავების სქემების შერჩევისათვის; ყურძნისა და მისი გადამუშავების პროდუქტთა ხარისხის მაკონტროლებელი პარამეტრების განსაზღვრის პრაქტიკულად განხორციელების უნარი;

ღვინის დაავადებებთან და ფალსიფიკაციასთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების გატარების უნარი; ღვინის საწარმოებში გამოყენებული დანადგარების და მოწყობილობების ექსპლუატაციის უნარი; სუფრის ყურძნის წარმოებისა და შენახვის, ყურძნისა და მეღვინეობის ნარჩენების რაციონალური გამოყენების უნარი; ქვევრის ღვინის ტრადიციული მეთოდით დაყენების უნარი; პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლის საფეხურს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სილაბუსში სრულყოფილად არის გაწერილი სწავლის შედეგები, რომელზედაც გადის სასწავლო კურსი მისი დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგების ნათელ წარმოდგენას გვაძლევს კომპეტენციის რუკა, რომელიც აჩვენებს თითოეული სასწავლო კურსის შედეგს. სტუდენტებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა პროგრამის შეფასების მეთოდები და მისი ეფექტურობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები; ინტერვიუ სტუდენტებთან, პედაგოგებთან და დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართული მევენახეობა მეღვინეობის პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. ქართული მევენახეობა–მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად

აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესალებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

პროგრამაზე მიღებისათვის განსაზღვრულია მეოთხე საგანი პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეულ საგანს განსაზღვრული აქვს აგრეთვე კოეფიციენტები იმის მიხედვით, თუ რომელი საგნის ჩაბარებაა მნიშვნელოვანი პროგრამის შედეგზე გასვლისათვის. სხვა განსაკუთრებული პირობა პროგრამაზე ჩარიცხვისათვის უნივერსიტეტს არ აქვს.

პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც აბიტურიენტებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისათვის, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. **http://www.ciu.edu.ge.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა;
უნივერსიტეტის ვებ.გვერდი;
ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქართული მევენახეობა-მერვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია აკადემიური პერსონალის, თვითშეფასების ჯგუფისა და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. პროგრამა ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებს, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს. ამასთანავე, პროგრამაში მოცემულია სწავლის შედეგები, რომლებიც აღწერილია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით. პროგრამის სტრუქტურა თანმდიმდევრული და ლოგიკურია და შინაარსთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამის შემუშავება მოხდა 4 ეტაპად:

1. მოსამზადებელი ეტაპი;
2. პროგრამასთან დაკავშირებული შიდა და გარე მონაცემების ანალიზი;
3. პროგრამის განვითარების გეგმის შედგენა, პროგრამის განხორციელების პროცესში კომუნიკაციის სტრატეგია და პერიოდულობა დაინტერესებულ მხარეებთან;
4. განხორციელების პროცესის შეფასება.

მოსამზადებელ ეტაპზე მოხდა - დასაქმების ბაზრის კვლევა; დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა; დაგეგმვის პროცესის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ინფორმაციის და რესურსების მობილიზება; სამუშაო ჯგუფის ფორმირება.

პროგრამასთან დაკავშირებული შიდა და გარე მონაცემების ანალიზისათვის მოხდა - სამუშაო ჯგუფის მიერ, პროგრამასთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზი და შეფასება, რომლის მეშვეობით დადგინდა პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები (SWOT ანალიზი).

პროგრამის განვითარების გეგმის შედგენის, პროგრამის განხორციელების პროცესში მხარეებთან კომუნიკაციის დროს შეიქმნა პროგრამის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, სადაც განსაზღვრულია დაგეგმილი აქტივობების პერიოდულობა. სამუშაო ჯგუფმა განიხილა პროგრამის SWOT ანალიზი, რომლის შემდეგაც განისაზღვრა პრიორიტეტული სტრატეგიები, რომლებიც უნდა განხორციელდეს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. ესენია: ინფორმაციის გაზიარების სტრატეგია დაინტერესებული მხარეებისთვის; ერთობლივი გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის და მისი სტრატეგიული გეგმის შექმნის, ცვლილებების შეტანის, განხორციელების და განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

განხორციელების პროცესის შეფასებით მოხდა შეფასება, თუ რამდენად შეესაბამება პროგრამის განხორციელების პროცესის პერიოდული შედეგები პროგრამის მიზნებს და სტრატეგიებს.

პროგრამის სტრუქტურა და შეთავაზებული სავალდებულო თუ არჩევითი სასწავლო კურსები ხელს უწყობს სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პროგრამის შინაარსი ისეა აგებული, რომ ითვალისწინებს პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა კომპეტენციებს და უზრუნველყოფს პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების შესაბამისი და სათანადო კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა შედგენილია ლოგიკურად, მარტივიდან რთულ საკითხებზე გადასვლის პრინციპის დაცვით. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამაში სრული კანონზომიერებით არის განლაგებული საუნივერსიტეტო ზოგადი და სპეციალობის სასწავლო კურსები. პროგრამის 240 კრედიტი განაწილებულია შემდეგი სახით: სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელიც მოიცავს შემდეგს: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22 კრედიტი; საფაკულტეტო (საბაზისო) სასწავლო კურსები – 45 კრედიტი; სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები – 113 კრედიტი; 60 კრედიტი პროგრამაში დათმობილი აქვს არჩევით კურსებს, რომელიც მოიცავს: საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსებს – 10 კრედიტი; სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებს – 30 კრედიტი; თავისუფალი კრედიტებს 20 კრედიტი.

საწვლო კურსებში სწორად არის გაწერილი დაშვების წინაპირობა.

სპეციალობის სასწავლო კურსები საკმაოდ სრულყოფილი კრედიტებით არის შესული საგანმანათლებლო პროგრამაში.

სწორად არის შერჩეული არჩევითი სასწავლო კურსები და მათი შესაბამისი კრედიტები.

პროგრამის მოდიფიცირებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა).

ა) აკადემიური და მოწვეულმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავებაში. კრედიტებით გაანგარიშებისას გათვალისწინებული იყო კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკა, შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასწავლად საჭირო რეალური დრო. თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფილია შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა. აღნიშნულ სფეროში არსებული სიახლეების გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით მოახდინა პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების ფორმირება, სილაბუსების შემუშავება, ცვლილებები სასწავლო კურსების თემატიკაში, თანამედროვე ქართული თუ უცხოენოვანი ლიტერატურისა და სასწავლო მასალების მოძიება, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების შერჩევა და ა.შ. მათივე

რეკომენდაციებით მოხდა მატერიალურ–ტექნიკური ბაზის სრულყოფაც. ბ) რაც შეეხება კურსდამთავრებულებს, შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის მექანიზმი. ვინაიდან პროგრამას ჯერ კურსდამთავრებული არ ჰყავს, მის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ ანალოგიური სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები; გ) დამსაქმებელთა ჩართულობა ხორციელდება როგორც ორმხრივი თანამშრომლობის პირობებში, ასევე პრაქტიკის ორგანიზებით: ამ პროცესში დამსაქმებლების მხრიდან უნივერსიტეტი იღებს რეკომენდაციებს და წინადადებებს სტუდენტთა ცოდნისა და უნარების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ; დამსაქმებლები თავიანთი რჩევებითა და რეკომენდაციებით ეხმარებიან უნივერსიტეტს არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაში. დამსაქმებელთა უმრავლესობა უნივერსიტეტის პროფესორია და თავადაა ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები; პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი ფორმები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს მათი სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და მოცულობის გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, თუ რეალურად რა დრო ჭირდება საშუალო მოსწრების სტუდენტს კონკრეტული დისციპლინის შესწავლისთვის. ამიტომაც არის, რომ პროგრამაში სასწავლო კურსები არა მხოლოდ სტანდარტულად 3, 4, 5 ან 6 კრედიტიანია, არამედ ამ პრინციპების გათვალისწინებით დაანგარიშებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო დროის ჯამი. სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ერთობლიობაში ქმნის და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.გარდა ამისა, თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების პირველ საფეხურს. პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ორიენტირებულია სასწავლო პროცესის თეორიულ და პრაქტიკული სწავლების სრულყოფილად წარმართვაზე და აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრის მომზადებაზე. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი მოიცავს სხვადასხვა კომპეტენციებს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა შედეგზე გადის სტუდენტი კურსის დასრულების შემდეგ, შედეგები ასახულია კომპეტენციების რუკაში, თან ახლავს საგანმანათლებლო პროგრამას. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ესენია, თანამედროვე სახელმძღვანელოები და უახლესი ინგლისურენოვანი ლიტერატურა. სასწავლო მასალები წარმოდგენილია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში. მიუხედავად უნივერსიტეტში წარმოდგენილი საუკეთესო ბიბლიოთეკით სასწავლო კურსებში აგროქიმია და ნიადაგთმცოდნეობა გამოყენებულია მოძველებული ლიტერატურა, თუმცა დამატებით ლიტერატურად მითიტებულია შედარებით ახალი ლიტერატურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ქართული მევენახეობა- მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამა; სასწავლო კურსების სილაბუსები; სილაბუსებში მითითებული ბეჭდური, ელექტრონული სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები;

სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია მოძველებული ლიტერატურა შეიცვალოს ახალი ლიტერატურით, ან შეიქმნას რიდერები, ან თარგმნოს უცხოენოვანი ლიტერატურა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის შედეგების მისაღწევად ძალზედ მნიშვნელოვანია პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც საკმაოდ მოცულობითია პროგრამაში. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს პრაქტიკა 24 კრედიტის მოცულობით. აქედან- 12 კრედიტის მოცულობით- მევენახეობის აგროტექნოლოგიასა და ვაზის სარგავი მასალების წარმოებაში ხოლო 12 კრედიტის მოცულობით - ღვინის ტექნოლოგიაში. მევენახეობის პრაქტიკის მიზანია: მევენახეობის დარგში მიღებული ცოდნის განმტკიცებისა და გაფართოების ხელშეწყობა; სტუდენტის მიერ უშუალოდ სანერგე მეურნეობასა და ვენახში საქმიანობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; თეორიის პრაქტიკასთან მჭიდროდ შერწყმა, ანუ აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან /პრაქტიკასთან; სტუდენტები შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ: ვაზის ნამყენი ნერგის წარმოებასთან დაკავშირებულ ოპერაციებში; სათბურში სხვადასხვა მეთოდებით ნამყენის გამოყვანასა და მასთან დაკავშირებულ

ოპერაციებში;
ვენახის გაშენებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

მეღვინეობის პრაქტიკის მიზანია:
სტუდენტს მისცეს თეორიული სწავლების საფუძველზე მიღებული ცოდნის გაღრმავების და მისი პრაქტიკული განხორციელების გამოცდილება;
სტუდენტს შესძინოს და განუვითაროს ენოლოგის საქმიანობისათვის საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევები საწარმოო პირობებში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების დაკვირვების და პირადი მონაწილეობის საშუალებით;
ყოველ წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია იმართება. უკვე მეორედ, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა V საერთაშორისო კონფერენციაზე ცალკე სექციად იქნა წარმოდგენილი მევენახეობა–მეღვინეობის სექცია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის მაგისტრანტებმა და სამომავლოდ მონაწილეობას ბაკალავრიატის სტუდენტებიც მიიღებენ.
მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ჯერ მხოლოდ პირველი სასწავლო წელია და ამიტომ არ არიან ჩართულნი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში, პროგრამის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთამათი სამომავლო ჩართულობის სქემა სხვადსხვა პროექტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ქართული მევენახეობა- მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამა;
სასწავლო კურსების სილაბუსები;
სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის დამადასტურებელი სტატისტიკური მონაცემები;
სამეცნიერო კონფერენციების მასალები, ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ინფორმაციები;
ჟურნალი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“;
ახალგაზრდა მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის საგრანტო კონკურსის მასალები;
უნივერსიტეტის ფუნდამენტური კვლევების გრანტების
და მცირე სამეცნიერო გრანტების კონკურსის მასალები;
მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო ცენტრის ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდოლოგიის გამოყენებას, რომელიც ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას.

სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდები, ეს მეთოდებია:

ვერბალური - თემის ახსნა, გამოკითხვა, მსჯელობა, დისკუსია-დებატები, პრეზენტაცია;

წერითი - პრაქტიკული მეცადინეობებისთვის დავალების მომზადება, სამუშაო ჯგუფში მოხსენების/პრეზენტაციების მომზადება, ამონაწერები სახელმძღვანელოდან;

ასევე, დუალური - სინთეზური, პრაქტიკაზე დაყრდნობილი თეორიული ცოდნის მიღების მეთოდი.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება - ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, სპეციალობასთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულება, მოხსენებისთვის/პრეზენტაციისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადება და სხვ.)

ლექციებზე - მოსმენა და ჩანაწერის გაკეთება; ჯგუფში მუშაობა, წერითი (დავალების/პრეზენტაციის მომზადება), პრაქტიკული სწავლების მეთოდი, დისკუსია-დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი სწავლება (cooperative), შემთხვევის ანალიზი (Case study),

სწავლების პროცესში გამოიყენება ასევე: სტუდენტის მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკული ანალიზი და შეფასება; სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკის გათვალისწინება; ინფორმაციის მოძიება ელექტრონულ ფორმატში კომპიუტერული ტექნიკის ან/და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის გამოყენებით, დასახული ამოცანის რელევანტური ინფორმაციის და ლიტერატურის მიმოხილვა.

სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო, ხოლო სტუდენტების მონაწილეობა - უფრო აქტიური ხდება. მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა ჩართულობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას. პროგრამის თითოეულ სილაბუსში გაწერილია სწავლის მეთოდები და ფორმები. სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან სწავლებისას გამოყენებული მეთოდების შერჩევა მიმართულია სწავლების აქტივიზებაზე, შემეცნებითი საქმიანობის განვითარებაზე და სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე სასწავლო კურსი (ანალიზური ქიმია, აგროქიმია და ნიადაგთმცოდნეობა) არ ითვალისწინებს ლაბორატორიულ სამუშაოების ჩატარებას, შესაბამისად არ არის სილაბუსში ლაბორატორიული სამუშაოს შეფასებაც. სასურველია აღნიშნულ სილაბუსებში შეტანილ იქნეს ლაბორატორიული სამუშაოები, რადგან მევენახემეღვინეს კვალიფიციური კადრის მომზადებისთვის მნიშვნელოვანია მათ მიერ ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ქართული მევენახეობა- მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამა; სასწავლო კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სასწავლო კურსებში ანალიზური ქიმია, აგროქიმია და ნიადაგთმცოდნეობა შეტანილ იქნეს ლაბორატორიული სამუშაოები და შესაბამისად მოხდეს მისი შეფასება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეფასება არის საგნის, მოვლენის ან პროცესის შესაბამისობის განსაზღვრა წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებთან. შეფასების საშუალებით ხდება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობის შეფასება პროგრამით დასახულ შედეგებთან. ამ თვალსაზრისით, შეფასება ხდება ისეთი კრიტერიუმებით, რომლებიც ადგენენ, განუვითარდა თუ არა სტუდენტს პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელი უნარები, შეუძლია თუ არა მას კვლევასთან დაკავშირებული კითხვების დასმა, ანალიზის, დასკვნის და რეკომენდაციის ჩამოყალიბება, შეუძლია თუ არა სათანადო ინსტრუმენტების გამოყენება, საკუთარი მუშაობის ორგანიზება, შედეგების გადაცემა და საკუთარი მოსაზრების დაცვა.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო კურსების სწავლებისას, თითოეულ კურსში სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების სისტემით.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის შესწავლისას, სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საერთო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

შუალედური შეფასება იყოფა კომპონენტებად (მუშაობა ლექციებზე და სამუშაო ჯგუფებში, შუალედური გამოცდები, წინასწარ შერჩეული თემის მომზადება და მისი პრეზენტაცია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, რეფერატის მომზადება და დაცვა, ლაბორატორიული მუშაობა, პრაქტიკული სამუშაო და ა.შ.), რომელთაც თავისი პროცენტული წილი აქვთ შუალედური შეფასების ფარგლებში.

Უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ - ლაბორატორიულ მეცადინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40

ქულის დაგროვება;

თითოეულ საგანში შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ და ფასდება 20 ქულით;

კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;

დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები:

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა;

1. ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობა (ლექციებზე, სემინარებსა და პრაქტიკულ - ლაბორატორიულ მეცადინეობებზე აქტიურობა, საშინაო დავალებების შესრულება, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობა, წერითი ქვიზების შესრულება, რეფერატების მომზადება და პრეზენტაცა, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადება, პრეზენტაცია და ა.შ.) – 30–34 ქულა;

წინასწარ არჩეული თემის პრეზენტაცია, რეფერატის, ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის მომზადება და დაცვა – 6–10 ქულა;

2. შუალედური გამოცდა – 20 ქულა;

3. დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა;

4. საბოლოო შეფასება – 100 ქულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ქართული მევენახეობა- მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამა;
სასწავლო კურსების სილაბუსები;
შეფასების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია;
ინტერვიუ სტუდენტებთან, პედაგოგებთან და ადმინისრტაციასთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი თავისი პროფილის განსაზღვრისას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას იღებს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალიდან. ესენია: დეკანი, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / სპეციალისტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი; ისინი თითოეულ სტუდენტს ეხმარებიან სასწავლო პროცესში აღმოჩენილი ადმინისტრაციული და აკადემიური პრობლემების მოგვარებაში. სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის მიზნით, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია კონსულტაციების სისტემა;

სემესტრის დასაწყისში პროფესორი ადგენს საკონსულტაციო საათების განრიგს, რომლის მიხედვითაც სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ კონსულტაცია მიიღონ პროფესორებისაგან სასწავლო კურსთან და ზოგადად, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. კონსულტაციების ჩატარების დღე და დრო მითითებულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში, ასევე კონსულტაციების ცხრილი გამოკრულია ფაკულტეტზეც, ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით; ინფორმაცია სტუდეტებს მიეწოდება რეგულარულად სწავლის მთელ პერიოდში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერის განვითარების ცენტრი, რომელიც მუდმივად ზრუნავს კურსდამთავრებულთა დასაქმების პრობლემაზე. უნივერსიტეტში ხშირად იმართება დასაქმების ფორუმები, დასაქმების ფორუმში მონაწილეობას იღებენ ქვეყნის წამყვანი ორგანიზაციების, სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურის წარმომადგენლები. ორგანიზაციების წარმომადგენლები სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს სათანადო კონსულტაციებს უწევენ დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და შესაბამის სამუშაოს სთავაზობენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით; ფაკულტეტის დებულებით; სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულებით; საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტის დებულებით; ბიბლიოთეკის დებულებით; უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემით, „გონი“; სასწავლო კურსების სილაბუსები; კონსულტაციების ცხრილი; დასაქმების ფორუმების ამსახველი მასალებით.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესს უძღვება აკადემიური პერსონალი და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული ვადით მოწვეული ლექტორები. აკადემიურ თანამდებობებზე რექტორის ბრძანებით დანიშნულნი არიან კონკურსის წესით

შერჩეული, სათანადო სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო -პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირები. გარდა ამისა, ლექტორებად მოწვეულნი არიან დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტები, რომელთაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, დიდი პრაქტიკული გამოცდილება, სპეციალური მომზადება და შრომები კონკრეტული მიმართულებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაბამისი კომპეტენციები დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით.

პროგრამის განმახორციელებლების შერჩევის მიზნით, უნივერსიტეტში ჩატარდა რამდენიმე კონკურსი აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად. სწორედ ამის შედეგია, რომ დღეისათვის აკადემიურ თანამდებობაზეა სულ 26 პროფესორი, მათ შორის, 3 პროფესორი, 21 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 1 მეცნიერი, მოწვეულია 16 ლექტორი.

ზემოაღნიშნული აკადემიური პერსონალიდან, 1 აფილირებული პროფესორია, 13 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ პროფესორი, სულ 15.

თითოეულ მათგანს აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია და კონკრეტული სალექციო კურსების წაკითხვის გამოცდილება.

აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პირველ კურსზე ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

უნივერსიტეტში ხშირად იმართება ლექტორთა სამეცნიერო კონფერენციები; საჯარო ლექციები; მეთოდოლოგიური სემინარები; სამომავლოდ იგეგმება პროფესორ-მასწავლებელთა მივლინებები საზღვარგარეთ, მათი პროფესიული განვითარების მიზნით.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. მისი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით. პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, მის მოდიფიცირებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის განკუთვნილი ფინანსური უზრუნველყოფა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

აფილირებული, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;

აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად ჩატარებული საკონკურსო მასალები;

ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხის შესამოწმებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სპეციალური გამოკითხვის ფორმები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის როგორც სასწავლო, ასევე კველვითი საქმიანობის შეფასებას, რისთვისაც: აფასებს აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს და სასწავლო და კვლევითი პროცესის მიმდინარეობას, წინასწარ დადგენილი პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია შეფასების დაწყებამდე უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს გააცნოს შეფასების კრიტერიუმები და განუმარტოს მათ შეფასების შინაარსი და საჭიროება; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს წინასწარ შეატყობინოს ლექციაზე დასწრების შესახებ; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შესახებ სტუდენტის და კურსდამთავრებულის გამოკითხვა ჩაატაროს სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში

შეთანხმებულია რექტორთან;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადგენს შეფასების ფორმას და კრიტერიუმებს, შედეგებს პირადად გააცნობს აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს;

მართალია აღნიშნულ პროგრამას კურსდამთავრებულები არ ყავს და აქტიური მხოლოდ რამდენიმე სტუდენტია, ამიტომ ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი შევხვდით მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს და ასევე აქტიურ სტუდენტებს. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები მუდმივად ახდენენ პროფესორ-მასწავლებელთა შეფასებას შესაბამისი კითხვარების საშუალებით, ასევე რეგულარულად ხდება პროგრამების შეფასება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების საშუალებით, მიღებული შედეგები მუშავდება და შესაბამისი შედეგების მიხედვით შემუშავდება გარკვეული ღონისძიებები. პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ნათელი გახდა ადმინისტრაციის ხელშეწყობის ღონისძიებები, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: სამეცნიერო-კვლევითი გარემოს შექმნა, კვლევების დაფინანსება, სამეცნიერო, რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები;
პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები (იხილეთ ზემოთ, სტატისტიკურ მონაცემებში);
აკადემიური პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი) შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები;
კვლევის შედეგების გამოყენების მექანიზმი პერსონალის მართვასა და განვითარებაში;
სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ;
საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი (იხილეთ ზემოთ, სტატისტიკურ მონაცემებში);
საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
ინტერვიუ პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარითა და საინფორმაციო–საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერით აღჭურვილი 4(ოთხი) კომპიუტერული კლასი;

ახალი, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზებით, საბიბლიოთეკო ფონდებთან მკითხველის თავისუფალი დაშვებით, იზოლირებული შეხვედრების ოთახებით, საკონფერენციო ოთახით და ბიბლიოთეკარების სამუშაო სივრცით.

მარანი „კოლხი“, რომელიც მოიცავს უძველესი ქართული ქვევრებით აღჭურვილ მარანს, საწნახელს, ვინოთეკას, მიკროვინიფიკაციისათვის გათვალისწინებულ თანამედროვე ტექნიკა-ინვენტარს.

ვაზის უნიკალური კოლექცია, რომელიც გაშენებულია მარნის ტერიტორიაზე და დღეისათვის უკვე 100-მდე ენდემურ ჯიშს მოიცავს.

სათანადო დანადგარებითა და აპარატურით აღჭურვილი ენოქიმიის, ვაზის ბიოლოგიისა და მევენახეობის, ასევე მიკრობიოლოგიის სასწავლო–კვლევითი ლაბორატორიები, მიკროვინიფიკაციის საექსპერიმენტო კაბინეტი. თანამედროვე სტანდარტებით დაკომპლექტებული სადეგუსტაციო დარბაზი.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს მატერიალური რესურსების ყველა პირობა, რათა მოამზადოს კვალიფიციურირი მევენახე-მეღვინე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ქართული მევენახეობა- მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამა;
მატერიალური რესურსების დათვალიერების შედეგი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განხორციელების, პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მოტივაციის მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის ნაწილია. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე და სტუდენტთა მიერ მცირე მოცულობის სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების, პროფესორთა ახალი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე. ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ბიუჯეტში გათვლილია როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე მოწვეული პერსონალის მივლინების ხარჯები კვალიფიკაციის ამაღლების დროს, ასვე ბიუჯეტში გათვლილია რეიტინგულ ჟურნალში სტატიების გამოქვეყნების დაფინანსება. ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ასევე - ერთჯერადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი. ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფუნქციონირების აუცილებელი ელემენტია სასწავლო პროცესისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციაა უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების მუდმივი მონიტორინგი და სრულყოფა, აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სისტემატურად მოწმდება და ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე მათ განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამასთან და იმ სასწავლო კურსებთან, რომლებსაც ისინი ახორციელებენ კონკრეტულ პროგრამაში. უნივერსიტეტის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება შემდეგ პრინციპს: „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“, რაც გულისხმობს შემდეგს: თავდაპირველად მოხდა პროგრამის შემუშავება, და დადგინდა მისი შესაბამისობა საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან და მისიასთან; შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად გადაეცა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც შეამოწმა პროგრამის შესაბამისობა საუნივერსიტეტო და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოს სამსახურის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება აისახა შესაბამის ოქმში, რის საფუძველზეც გამოიცა ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს. კერძოდ, სტუდენტების მიერ ხდება არა მარტო სასწავლო კურსის სილაბუსებისა და პროფესორ–მასწავლებელთა შეფასება, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების მიზნით, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად სისტემატურად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამებს და ახდენს მათ მონიტორინგს. უნივერსიტეტში არსებობს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები, შეფასების კითხვარები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება

გამოკითხვის პროცესში. გამოკითხვის დასრულების შემდეგ ხდება შედეგების გაანალიზება და რეკომენდაციების შემუშავება, რაც შემდგომში აისახება არა მარტო სასწავლო კურსების, არამედ საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის პროცესშიც. შედეგების საფუძველზე საჯაროდ ხდება პროფესორ–მასწავლებელთა რეიტინგების გამოქვეყნება, რაც მათი კვალიფიკაციისა და მუშაობის შეფასების საშუალებას იძლევა. სისტემატურად იმართება შეხვედრები და დისკუსიები საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა – გაუმჯობესების, სწავლების მეთოდებისა და მეთოდოლოგიის სრულყოფის, უახლესი ლიტერატურითა და სასწავლო მასალებით ბიბლიოთეკის უზრუნველყოფისა და უცხოეთის გამოცდილების გაზიარების მიზნით. ყველა სიახლე აისახება სასწავლო კურსების სილაბუსებში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება-მონიტორინგი მიმდინარეობს განუწყვეტლივ და მისი შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარი კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლებისთვისაც, რომელიც მიზნად ისახავს გამოიკვლიოს დასაქმებული კურსდამთავრებულების სწავლის შედეგებითა და შეძენილი კომპეტენციებით მათი კმაყოფილების ხარისხი, მიიღოს მათგან საჭირო რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომში გათვალისწინებული იქნება პროგრამაში ცვლილებების შეტანისას. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება დაგეგმილია გარკვეული კრიტერიუმების გამოყენებით, რომელთა ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე ხდება გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება. პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება აკადემიურ საბჭოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ეფექტიანობის მართვა“; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ფაკულტეტის დებულება; სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები (ანკეტა-კითხვარებით საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის, პროფესორის, სილაბუსის და ა. შ. შეფასების შესახებ); ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებს. ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად საზომს წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამას პირველი აკრედიტაცია 2018 წელს მიენიჭა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ (გადაწყვეტილება # N17; 26.01.2018). პროგრამის აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები, უნივერსიტეტის მიერ პროგრამის ამოქმედებისთანავე იქნა გათვალისწინებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ გარე შეფასებაში ჩართულნი არიან აგრეთვე დამსაქმებლები, რომლებიც ავსებენ სპეციალურ კითხვარს პროგრამის შეფასებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ქართული მევენახეობა-მეღვინეობა ჯერ ახალია მასზე მხოლოდ 18 სტუდენტი სწავლობს პირველ კურსზე, ამიტომ ჯერ პროგრამის მონიტორინგი სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიხედვით არ ჩატარებულა. თუმცა უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მონიტორინგის პროცედურები გაწერილია და ყოველ წელს მიმდინარეობს ყველა წესის დაცით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამით; სტუდენტთა სწავლის შედეგების მონიტორინგის მექანიზმები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ქართული მევენახეობა-მეღვინეობა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მანანა კევლიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მურად გარუჩავა

ნინო დაკანოიძე